საქართველოს კარიტასის მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრი ‘ემეგობრეს’ გავლენა ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების სოციალურ უნარებსა და ქცევით ცვლილებებზე

ელდინა ზარანდია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ქეთევან მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი,2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელდინა ზარანიდა

15.06.2026

აბსტრაქტი

ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან სოციალურ გამოწვევას წარმოადგენენ როგორც მსოფლიოში, ისე საქართველოში. აღნიშნული ჯგუფის ბავშვები ხშირად ცხოვრობენ სიღარიბის, სოციალური იზოლაციის, ოჯახური დისფუნქციის, ძალადობის, განათლებაზე შეზღუდული ხელმისაწვდომობისა და სხვადასხვა სოციალური რისკის პირობებში, რაც უარყოფითად აისახება მათ სოციალურ, ემოციურ და ქცევით განვითარებაზე. მსგავსი გამოწვევების საპასუხოდ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დღის ცენტრების მომსახურებას, რომლებიც ბავშვებს სთავაზობენ უსაფრთხო გარემოს, საგანმანათლებლო, ფსიქოლოგიურ და სოციალურ მხარდაჭერას.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოს კარიტასის დღის ცენტრი „ემეგობრე“-ს გავლენის შესწავლა ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების სოციალური უნარების განვითარებასა და ქცევითი ცვლილებების ფორმირებაზე.

კვლევა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით. მონაცემების შეგროვების მიზნით გამოყენებულ იქნა ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი. კვლევაში მონაწილეობდნენ დღის ცენტრის ბენეფიციარები, ფსიქოლოგი, პედაგოგი და სერვისის კოორდინატორი. დამატებით განხორციელდა ბენეფიციართა შემთხვევების ანალიზი, რამაც შესაძლებლობა მოგვცა უფრო სიღრმისეულად შეგვესწავლა ბავშვების სოციალური მდგომარეობა, ოჯახური გარემო, არსებული რისკ-ფაქტორები და დღის ცენტრის გავლენა მათ ცხოვრებაზე. კვლევის პროცესში დაცული იყო ეთიკური პრინციპები, მათ შორის ინფორმირებული თანხმობის, კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის მოთხოვნები.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ დღის ცენტრში ჩართვა დადებით გავლენას ახდენს ბავშვების სოციალურ, ემოციურ და ქცევით განვითარებაზე. გამოიკვეთა, რომ ცენტრის ბენეფიციარებს გაუუმჯობესდათ კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, ემოციების გამოხატვისა და კონფლიქტების მართვის უნარები. ბავშვების შეფასებებით, დღის ცენტრი მათთვის წარმოადგენს უსაფრთხო და მხარდამჭერ სივრცეს, სადაც ისინი იღებენ როგორც პრაქტიკულ ცოდნას, ასევე ემოციურ მხარდაჭერას. სპეციალისტების შეფასებით, პოზიტიური ცვლილებები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბავშვების სოციალური უნარების, თვითკონტროლისა და თანატოლებთან ურთიერთობის მიმართულებით.

ამავდროულად, კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების განვითარების პროცესზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ოჯახური გარემო, ეკონომიკური სირთულეები, მშობელთა დაბალი ჩართულობა, ძალადობის გამოცდილება, ტრავმული მოვლენები და სოციალური რისკები. მიღებული შედეგები ადასტურებს, რომ დღის ცენტრის მომსახურება წარმოადგენს მნიშვნელოვან პრევენციულ და მხარდამჭერ მექანიზმს ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების კეთილდღეობის, სოციალური ინტეგრაციისა და პოზიტიური განვითარების ხელშეწყობისათვის. კვლევის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც მიმართულია როგორც დღის ცენტრის მომსახურების გაუმჯობესების, ასევე ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების მხარდამჭერი სოციალური სერვისების განვითარებისკენ.

Abstract

Street-connected children represent one of the most significant social challenges both globally and in Georgia. These children often live in conditions characterized by poverty, social exclusion, family dysfunction, violence, limited access to education, and

various social risks, all of which negatively affect their social, emotional, and behavioral development. In response to these challenges, day centers play a particularly important role by providing children with a safe environment, educational opportunities, psychological support, and social services.

The aim of this study is to examine the impact of the “Emegobre” Day Center of Caritas Georgia on the development of social skills and behavioral changes among street-connected children. The study also seeks to identify the factors that facilitate or hinder children's social adaptation and personal development.

The research was conducted using a qualitative research methodology. Data were collected through semi-structured interviews with day center beneficiaries, a psychologist, a teacher, and the service coordinator. In addition, case analysis of beneficiaries was conducted, allowing for a deeper understanding of the children’s social circumstances, family environment, existing risk factors, and the influence of the day center on their lives. Throughout the research process, ethical principles were strictly observed, including informed consent, confidentiality, and anonymity.

The findings revealed that participation in the day center has a positive impact on the social, emotional, and behavioral development of children. The results indicated improvements in communication skills, cooperation, relationship-building abilities, emotional expression, and conflict management. According to the children’s perspectives, the day center serves as a safe and supportive environment where they receive both practical knowledge and emotional support. According to the professionals interviewed, positive changes are particularly evident in the areas of social skills, self-control, and interactions with peers.

At the same time, the study demonstrated that children’s development continues to be significantly influenced by family conditions, economic hardship, limited parental involvement, experiences of violence, traumatic events, and various social risks. The findings confirm that day center services function as an important preventive and supportive mechanism that promotes the well-being, social integration, and positive development of street-connected children. Based on the research findings, several recommendations were developed to improve day center services and strengthen social support systems available to street-connected children.

სარჩევი

შესავალი 1

ლიტერატურის მიმოხილვა 5

თავი 1: ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვები: კონცეფცია, კატეგორიზაცია და ძირითადი გამოწვევები 5

1.1.ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების პრობლემა საქართველოში და მსოფლიოში 5

1.2 ტერმინოლოგია და ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების კატეგორიზაცია 5

1.3 ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების დელინკვენტური ქცევის განმაპირობებელი ფაქტორები 6

1.4. ქუჩაში ცხოვრების სოციალური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური შედეგები 9

1.5. რისკის შემცველი (სარისკო) ქცევა ქუჩასთან დაკავშირებულ ბავშვებში 10

თავი 2: ოჯახური და სოციალური გარემოს გავლენა ბავშვების ქცევაზე 13

თავი 3:დღის ცენტრების როლი ქუჩასთან დაკავშირებული ბავშვების მხარდაჭერის